ხელშეკრულება N 53
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 22 მარტი 2022 წელი

ერთი მხრივ, სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“ (შემდგომში – “შემსყიდველი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ ლორთქიფანიძის სახით და მეორე მხრივ, შპს “ელსი ვაიკიკი გე“ ს/კოდი 404916114 (შემდგომში – “მიმწოდებელი’), წარმოდგენილი მისი ფინანსური დირექტორის მოადგილის მაკა ჭანიშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს კანონის “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის #99 2012 წლის 24 იანვრის განკარგულების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული სახელმწიფო შესყდვის გზით, სპექტაკლი „ჭორიკანა ქალებისა და დედამიწა კი მიჰქრის““საჭიროებისათვის ტანსაცმელის, სპეციალური ტანსაცმელი და აქსესუარების შესყიდვა. კლ.კოდი: CPV 18200000; 18332000; 18400000; 18900000; შესყიდვის ზუსტი დასახელება, განზომილება, ერთეულის ფასი მოცემულია დანართი N1-ის შესაბამისად და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. საქონლის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;

2.2. საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს: 1306.00 (ერთი ათას სამას ექვსი ლარი ნული თეთრი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3. საქონლის ხარისხი და გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს კონკრეტული საქონლისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4. საქონლის მიწოდების ვადები და აგილი

4.1. შესყიდვა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2022 წლის 23 მარტისა

4.2. საქონლის მიწოდების /გატანის ადგილი : 292 (ორას ოთხმოცდათორმეტი) ლარის საქონლის გატანა განხორციელდება შემდეგი მისამართიდან: ქ.თბილისი, ვაგზლის მოედანი 2 ; ხოლო 1014(ერთიათას თოთხმეტი) ლარის ქონლის გატანა განხორციელდება შემდეგი მისამართიდან: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ 91(სავაჭრო ობიექტი „ელსი ვაიკიკი გე“)

4.3. საქონლის გატანა უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ, მიმწოდებლის სავაჭრო ობიექტის „ელსი ვაიკიკი გეს“სამუშაო საათებში.

5. საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ჩაითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების პარარელურად მიმწოდებელი ვალდებულია სრულად წარუდგინოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.3. იმ შემთხვევაში თუ შესყიდვის ობიექტი გამოდგება უხარისხო/დეფექტიანი ან სხვა ობიექტური წუნის მქონე, შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს ხარვეზების გამოსწორება, შეტყობინების მიღებიდან არაუგვინეს 2 (ორი) სამუშაო დღისა.

5.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოსაფხვრელად დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება“მიმწოდებელს“.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში;

6.2. საქონლის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით;

6.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ, ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1.5.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

6.4. ანგარიშსწორების წყარო : 2022 წლის საკუთარი შემოსავლები

7. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე შეამოწმოს საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს საქონლის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების/გადასახდელი თანხის 0.02 %–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

8.3. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინაე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2022 წლის 20 მაისის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მიმართ, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია,თუა ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

10.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%-მეტი ოდენობით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ფორს–მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავინთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ;

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე;

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. საქონლის შემოწმების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდებისას, სასაქონლო ზედნადების გაფორმებამდე განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და მოთხოვნებთან;

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრდან განახორციელებს სპექტაკლი „ჭორიკანა ქალების“-ს მხატვარ სცენოგრაფი ნინო ჩიტაიშვილი და სპექტაკლი „ დედამიწა კი მიჰქრის“ მხატვარი მაია სხირტლაძე.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან/და დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით;

14.4. სასაქონლო ზედნადების გაფორმებამდე გამოვლენილი დეფექტის ან/და ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს აქვს უფლება თავისი უფლებები და მოვალეობები გადასცეს მესამე პირს, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

15.2. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად და დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით.

15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #99/1
ს/კ 202063989
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში/ სახაზინო კოდი_ 708199800

მიმწოდებელი:
შპს „ ელსი ვაიკიკი გე“
ს/ კოდი: 404916114
მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. 91
სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE20BG0000000668645700

დირექტორი:

_____ _____

/თ.ლორთქიფანიძე/

LEPL Nodar Dumbadze Professional State Youth Theatre

Digitally signed by LEPL Nodar Dumbadze Professional State Youth Theatre
Date: 2022.03.22 12:34:14 +04'00'

დანართი N1

N	დასახელება	კლ.კოდი CPV	განზომილება	რაოდენობა	ერთ.ფასი	ჯამი
1	მამაკაცის ზედა	18235000	ცალი	1	39.00	39.00
2	მამაკაცის ზედა		ცალი	1	44.00	44.00
3	ჰუდი		ცალი	1	59.00	59.00
4	ჰუდი		ცალი	1	64.00	64.00
5	ქალის ზედა		ცალი	1	39.00	39.00
6	ქალის პერანგი	18318400	ცალი	1	59.00	59.00
7	პერანგი		ცალი	4	29.00	116.00
8	პერანგი		ცალი	2	39.00	78.00
9	პერანგი		ცალი	1	15.00	15.00
10	პერანგი		ცალი	2	19.00	38.00
11	პერანგი		ცალი	1	24.00	24.00
12	პერანგი		ცალი	2	34.00	68.00
13	ჟაკეტი	18223200	ცალი	1	34.00	34.00
14	შარვალი	18234000	ცალი	1	24.00	24.00
15	შარვალი		ცალი	2	29.00	58.00
16	შარვალი		ცალი	1	39.00	39.00
17	ქალის შარვალი		ცალი	1	64.00	64.00
18	მამაკაცის ქუდი	18441000	ცალი	1	29.00	29.00
19	მამაკაცის ქუდი		ცალი	1	19.00	19.00
20	ქალის წინდა	18317000	წყვილი	1	4.00	4.00
21	ქალის ხელჩანთა	18939000	ცალი	1	39.00	39.00
22	მაისური	18332000	ცალი	2	10.00	20.00
23	მაისური		ცალი	1	29.00	29.00
24	მაისური		ცალი	1	39.00	39.00
25	მაისური		ცალი	1	64.00	64.00
26	მაისური		ცალი	1	24.00	24.00
27	მაისური		ცალი	1	49.00	49.00
28	კაბა	18231000	ცალი	1	59.00	59.00
29	ჯინსის ქურთუკი	18210000	ცალი	1	69.00	69.00
	საერთო ღირებულება: ერთი ათას სამას ექვსი ლარი და ნული თეთრი					1306.00

შემსყიდველი:
სსიპ „ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა
პროფესიული სახელმწიფო თეატრი“
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #99/1
ს/კ 202063989

მიმწოდებელი:
შპს „ ელსი ვაიკიკი გე“
ს/ კოდი: 404916114

დირექტორი:

_____ _____

/თ.ლორთქიფანიძე/

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, „სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი“-ის დირექტორი თამარ ლორთქიფანიძე ვადასტურებ, რომ 2022 წლის 22 მარტს გაფორმებული N53 ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის განხორციელებაში შპს „ელსი ვაიკიკი გე“ (ს/კოდი: 404916114) მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორი: /თამარ ლორთქიფანიძე/